ომარ წერეთელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
სადოქტორო პროგრამა ამერიკისმცოდნეობის
დოქტორანტი

აშშ–საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ქარტიის დაბადება და მის ფარგლებში მიღწეული პროგრესი 2009–2014 წლებში

ანოტაცია

წინამდებარე სტატიის მიზანია, დაადგინოს აშშ-საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოებისსფეროშითანამშრომლობისეფექტიანობასტრატეგიულიპარტნიორობის შესახებ ქარტიის ფარგლებში 2009-2014 წლებში. კვლევაში განხილულია ორი ქვეყნის სამხედრო თანამშრომლობის ძირეული პრინციპები, ისევე როგორც ქარტიის ძირითადი კონცეფცია, სადაც შევეცდებით გამოვიკვლიოთ აშშ-საქართველოს შორის თავდაცვისა და უსაფრთხოების კუთხით თანამშრომლობის ეფექტიანობა და ის ღონისძიებები, რომლებმაც ხელი შეუწყო სამიზნე პერიოდში აშშ-საქართველოს შორის სამხედრო თანამშრომლობის გაღრმავებასა და გაძლიერებას. აღსანიშნავია, რომ სტრატეგიული ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში, აშშ-მა და საქართველომ გააფართოვეს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში თანამშრომლობის პროგრამები. აღნიშნულ პროგრამებში მოიაზრებოდა ქართული საჯარისო ქვედანაყოფების ნატოს სტან-დარტებზე მისადაგება და შესაბამისობაში მოყვანა, საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში საქართველოს ჩართულობის გაზრდა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. ინტერნეტ გამოცემების, მონოგრაფიებისა და სტატიებზე დაყრდნობით ვიმსჯელებთ იმ უმნიშვნელოვანეს საკითხზე, რომელიც ძალზე აქტუალურია ომგამოვლილი ქვეყნისთვის – შეერთებული შტატების დაეხმარება საქართველოს ომისშემდგომი რეკონსტრუქციისა და ფინანსური სტაბილურობის კუთხით. სტატიაში გამოყენებულია შედარებისა და ანალიზის მეთოდოლოგია, რომელიც საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ ქარტიის ფარგლებში განხორციელებული რეფორმის ეფექტიანობა საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის გაძლიერების საქმეში.

საკვანძო სიტყვები: თავდაცვა და უსაფრთხოება, სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ქარტია, დემოკრატია, პროგრესი, პოლიტიკა, იდეოლოგია, საზოგადოებრივი აზრი, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო), საერთაშორისო თანამეგობრობა.

შესავალი

აშშ-საქართველოს თანამშრომლობის ადრეული პერიოდიდანვე შეერთებული შტატების საქართველოსადმი მუდმივი მხადაჭერის სურვილი, როგორც დიპლომატიურ, ისე სამხედრო სფეროებში ძირითადად გამოწვეული იყო საქართველოს რეფორმებისაკენ მისწრაფებაში. ჯერ კიდევ 1992 წლიდან, როდესაც ოფიციალურმა ვაშინგტონმა საქართველოსთან, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოსთან, დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა, მნიშვნელოვანი

პოლიტიკური თუ ეკონომიკური დამხარება აღმოუჩინა მას. საერთო ღირებულებებისა და ინტერესების გათვალისწინებით კი თანდათან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მხარდამჭერ მნიშვნელოვან პარტნიორ ქვეყნად მოგვევლინა საერთაშორისო ასპარეზზე.

90-იანი წლებიდან, ჯორჯ ბუში უფროსის პრეზიდენტობის დასაწყისიდან, როდესაც ამ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთერთობები დამყარდა და შემდეგ პრეზიდენტ ბილ კლინტონით გაგრძელებული საქართველომ მნიშვნელოვანი საგარეო პოლიტიკური აღიარება მოიპოვა მსოფლიო თანამეგობრობაში, რომლის საუკეთესო დაგვირგვინება 2005 წელს აშშ-ის 43-ე პრეზიდენტის, ჯორჯ ბუში უმცროსის ვიზიტი გალხდათ საქართველოში. ვიზიტი, თავის მხრივ ქართველი ხალხისთვის დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას ატარებდა, რომელიც შეიძლება ითქვას, ქვეყნის ევროატლანტიკურ ორგანიზაციებში გაწევრიანების გზაზე უპრეცენდენტო მხარდაჭერის დასტური იყო.

ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური და სამხედრო მხარდაჭერა წლიდან-წლამდე მნიშვნელოვნად იზრდებოდა, ხოლო ამ ფაქტს, რუსეთის ფედერაციის მუდმივი უკმაყოფილება სდევდა თან. ამ მეტად დაძაბულმა ურთიერთობამ კი პიკს 2008 წლის აგვისტოში მიაღწია, როდესაც რუსეთი საქართველოში შემოიჭრა და საქართველო-რუსეთს შორის იდეოლოგიურ-პოლიტიკური დაძაბულობა რუსული ინტერევენციით დაგვირგვინდა.

ვფიქრობთ, რუსული აგრესია იყო პირველი ნიშანი და მნიშვნელოვანი შეტყობინება მსოფლიოს დემოკრატიული და ცივილიზებული სამყაროსთვის (მით უფრო დღევანდელი გეოპოლიტიკური მდგომარეობისა და რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე), რომ მოცემულ რეალობაში პოსტსაბჭოთა დამოუკიდებელი სახელმწიფოების პროდემოკრატიული კურსით სვლა მიუღებელი იყო რუსეთისთვის.

ოფიციალური ვაშინგტონისთვის რუსული ინტერვენცია საქართველოში მნიშვნელოვანი იდეოლოგიური და სტრატეგიული დარტყმა იყო, როგორც ამას ამერიკელი ანალიტიკოსები აფასებენ [Bix, 2008][1] და მოცემულ, ფორსმაჟორულ სიტუაციაში შემუშავდა სამოქმედო გეგმა, ისევე, როგორც სამომავლოდ ასეთი აგრესიული ნაბიჯების რისკების შემცირების მიზნით საქართველოსთან დაიდო სტრატეგიული პარტნიორობის ქარტია, რომელიც ჩვენი კვლევის მთავარ თემას წარმოადგენს და შევეცდებით უფრო დეტალურად ქვემოთ მოგახსენოთ მის შესახებ.

სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ქარტიის დაბადება

შესავალ ნაწილში, მოკლედ აღვნიშნეთ საქართველოში რუსული ინტერვენციის შესახებ, რომელმაც ტრაგიკული შედეგები მოუტანა ქვეყანას, როგორც ადამიანური რესურსის, ისე ეკონომიკის მხრივ, რომ არაფერი ვთქვათ სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების ჩამოშლის მცდელობაზე, რისი განზრახვაც აგრესორს თავდაპირვლად ჰქონდა. 2008 წლის აგვისტოს რუსული აგრესიის შედეგად, 2009 წლის 9 იანვარს, ვაშინგტონში, კოლუმბიის ოლქში პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ინიციატივით გაფორმდა ამერიკის შეერთებული შტატები-საქართველოს ქარტია სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ.

პოლიტიკის სფეროს ექსპერტების ნაწილს ისევე, როგორც სამოქალაქო საზოგადოების უმრავლესობას მიაჩნია, რომ ჯორჯ ბუში უმცროსის ადმინისტრაციის პირობებში გაფორმებული აღნიშნული ქარტია აშშ-საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სამხედრო-პოლიტიკური დოკუმენტია ორ ქვეყანას შორის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის კუთხით. ვფიქრობთ, 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად შექმნილი კრიზისის საპასუხოდ შეერთებულმა შტატებმა სწორი მიდგომა აირჩია თავიდან ყოფილიყო აცილებული ქვეყნის სუვერენიტეტის დაკარგვის რეალური

[1] Herbert P. Bix, 2008. *The Russo-Georgia War and the Challenge to American Global Dominance*
წყარო: https://apjjf.org/-Herbert-P.-Bix/2919/article.html

საფრთხე, რაც აბსოლუტური კატასტროფა იქნებოდა სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების ფუნქციონირებისათვის [Mitchell and Cooley, 2010].

მიუხედავად იმისა, რომ 2009 წლის 20 იანვარს თეთრ სახლში ოვალური კაბინეტი დემოკრატმა ბარაქ ჰუსეინ ობამამ დაიკავა, მანამდე საქართველოს და შეერთებულ შტატებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების 30-წლიანი არსებობის მანძილზე უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს მოეწერა ხელი. რესპუბლიკელთა 8-წლიანი მმართველობა საქართველოსთვის მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებით დასრულდა. [Mitchell and Cooley, 2010]

არსებითად, აღნიშნული დოკუმენტი იყო პასუხი რუსეთის ქმედებებისადმი საქართველოს წინააღმდეგ. ქარტიაში გაიწერა თანამშრომლობის შემდეგი ასპექტები:

1. დემოკრატია და მმართველობა;
2. თავდაცვა და უსაფრთხოება;
3. ხალხთაშორისი ურთიერთობა და კულტურული გაცვლები;
4. ეკონომიკა, ვაჭრობა და ენერგეტიკა.

როგორც ვხედავთ, ქარტია წარმოადგენს უსაფრთხოებისა და თავდაცვის, ეკონომიკისა და ვაჭრობის, ენერგეტიკის, კულტურისა და განათლების სფეროებში თანამშრომლობის გაფართოების და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებისა და ხალხთა შორის ურთიერთობების გაღრმავების მიმართულებით ურთიერთობის უმნიშვნელოვანეს ჩარჩოს, რომელიც ეფუძნება ორ სახელმწიფოს შორის სტრატეგიული თანამშრომლობის პრინციპებს, სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის, საზღვრების ურღვევობის მხარდაჭერას, დემოკრატიისა და სტაბილურობის განმტკიცებას. [1]

სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ ქარტიას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს. შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის ეს გახლდათ პირველი ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც ამ ორ ქვეყანას შორის კოორდინირებულ, დროში გაწერილ, ერთობლივი ღონისძიებების გატარებას აანონსებდა, რომელიც, თავის მხრივ, საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების, დემოკრატიისა და მმართველობის, ხალხთაშორისი ურთიერთობის, კულტურული გაცვლების, ეკონომიკის, ვაჭრობისა და ენერგეტიკის სფეროებში მოდერნიზებასა და გაძლიერებას გულისხმობდა. აღნიშნული დოკუმენტით შეიქმნა განსაზღრული შეხვედრების მთელი ფორმატი, სადაც რეგულარულად უნდა განხილულიყო თანამშრომლობის სამომავლო მიმართულებები[Mitchell and Cooley, 2010].

ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ქარტიას ხელი მოეწერა წარმავალი ბუშის ადმინისტრაციის მიერ და არსებობდა გარკვეული ეჭვები თუ რამდენად კომფორტულად იგრძნობდა თავს მომავალი ადმინისტრაცია აღნიშნული ქარტიიდან გამომდინარე, მაგრამ, როგორც ადმინისტრაციის პრესსამსახურში განმარტავდნენ, ეს ყოველივე შეთანხმებული იყო დემოკრატი ბარაკ ობამას ადმინისტრაციასთან. რა თქმა უნდა, არსებობდა თეორიული რისკი იმისა, რომ ხსენებული ქარტია თავისი რესურსსის ფარგლებში ნაკლებად ჰპოვებდა რეალიზაციას დემოკრატი მმართველის ხელში (რაც რეალურად ასეც მოხდა), მაგრამ მასში გაწერილი სხვადასხვა უწყებების მიმართულებით მუშაობა მაინც მიმდინარეობდა. [Institute for War and Peace Reporting, 2008]

ჯერ კიდევ ქარტიის გაფორმებამდე, კერძოდ, 2008 წლის ბუქარესტის ნატოს სამიტი საქართველოსთვის წარმატებით დასრულდა, სადაც კიდევ ერთხელ დადასტურდა ქვეყნის წინსვლა რეფორმებისა და პროგრესის გათვალისწინებით და საქართველოსთვის დაიგეგმა ნატოში გაწევრიანების კონკრეტული მექანიზმების შემუშავება. შეერთებული შტატების ადმინისტრაცია აღფრთოვანებას ვერ მალავდა საქართველოსა შესახებ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ანგარიშზე, რომლის მიხედვითაც, ქვეყანა რეგიონში რამდენიმე სახელმწიფოზე მნიშვნელოვან პოზიციებს იკავებდა. ფაქტიურად, ქვეყანა ტერმინ პოსტსაბჭოთა კლიშეს ძალიან მალე აღწევდა თავს და მას ამაში შეერთებული შტატების და აღმ. ევროპის ცალკეული ქვეყნები მნიშვნელოვან მხარდაჭერას უცხადებდნენ.

აშშ-ის ახალი ადამინისტრაციის პირობებში საქართველოსთვის პოლიტიკურად ბევრიც

[1] წყარო: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

არაფერიშეცვლილაუკეთესობისკენ,სამწუხაროდ.მიუხედავადიმისა,რომობამასადმინისტრაცია 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესრულებას მოითხოვდა რუსეთისაგან, განცხადებები განცხადებებად რჩებოდა და ორმხრივმა ურთიერთობებმა ძალზე ფორმალური ხასიათი მიიღო.

თუმცა შტატები დინამიკურად, მაგრამ მაინც აგრძელებდა საქართველოს მხარდაჭერას საერთაშორისო ოფიციალურ დონეზე, ამის ერთ-ერთი გამოვლინება ალბათ 2010 წელს სენატის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერის რეზოლუციის ერთხმად მიღება იყო. [1]

პარტნიორობის შესახებ ქარტიის ფარგლებში თანამშრომლობა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში 2009-2014 წლებში

როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, არსებობდა რისკები რომ წარმავალი რესპუბლიკლიკური ადმინისტრაციის პირობებში შემუშავებული და ხელმოწერილი პარტნიორობის შესახებ ქარტია მინიმუმ აღარ იქნებოდა ისეთი ეფექტური, როგორიც ჩაფიქრებული იყო რესპუბლიკელების მიერ და ნაკლებად ჰპოვებდა განხორციელებას შემდგომ წლებში დემოკრატიული ადმინისტრაციის პირობებში. დემოკრატი პრეზიდენტის არჩევამ გარკვეულწილად გაამართლა ზემოხსენებული რისკები და ეჭვები, რადგან ადმინისტრაციის ცვლილებამ მართლაც რომ გადაალაგა აშშ-ს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები. მით უფრო, როდესაც ახალად არჩეულმა აშშ-ის დემოკრატმა პრეზიდენტმა ბარაკ ჰუსეინ ობამამ ადმინისტრაციის ჩაბარებიადან 1 წლის თავზე, რუსეთთან „გადატვირთვის პოლიტიკის“ განხორციელება დაანონსა, რომელიც, როგორც შემდგომ გავლილმა წლებმა აჩვენა, სხვა არაფერი იყო თუ არა კომპრომისი რუსული იმპერიალისტური ზრახვების გზაზე. აღნიშნული სერიოზული გამოწვევა იყო არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ იგივე აღმ. ევროპის ქვეყენებისთვის, რომელთათვისაც შეერთებული შტატები დემოკრატიის დამცველ ძალად მოიაზრებოდა რუსეთთან წინააღმდეგ წარმოებულ იდეოლოგიურ თუ ჰიბრიდული ომის კვალდაკვალ. გამომდინარე იქედან რომ ობამას გადატირთვის პოლიტიკა და ამ პოლიტიკით გამოწვეული სავალალო შედეგები ჩვენი სტატიიის განხილვის მთავარი თემა არ გახლავთ, შეგვიძლია დავუბრუნდეთ ქარტიის განხორციელების პროცესს 2010 წლიდან. მიუხედავად ხსენებული გამოწვევისა, მაინც უნდა ითქვას, რომ ქარტიის განხორციელება ნელი სვლითა და ინერციით გრძედებოდა. 2010 წლის მარტიდან ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ქვეითი ძალების კონტინგენტის შემადგენლობაში ქართული ქვეითი ბატალიონები მონაწილეობას იღებდნენ ავღანეთში მიმდინარე ISAF-ის (საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძალები) ოპერაციაში. GDP-ISAF პროგრამის მეშვეობით 2010 წლიდან დღემდე გადასროლისწინა მომზადება 11 000-ზე მეტმა ქართველმა სამხედრო მოსამსახურემ გაიარა.[2]

ამას გარდა, აღსანიშნავია, სამხედრო განათლების პროგრამები, აშშ-ის მრჩეველთა ჯგუფის დახმარება, ამერიკელ ექსპერტთა ჯგუფების შეფასებითი ხასიათის ვიზიტები და სხვ. 2010 წლიდან სამხედრო გაცვლითი პროგრამების მეშვეობით სულ უფრო და უფრო მეტი ქართველი ირიცხებოდა შეერთებული შტატების საგანმანათლებლო ცენტრებში, მაგალითვისთვის, SSOP-ის ფარგლებში რამდენიმე ასეულმა სამხედრომ გაიარა მომზადება და შედეგად ქართული სამხედროების რიცხვმა ერაყში 2 ათას კაცს მიაღწია, ისევე როგორც ამ პერიოდსითვის საქართველოს ამერიკული სამხედრო პროგრამებით გაწვრთნილი და საბრძოლო გამოცდილების მქონე 15 ათასამდე სამხედრო მოსამსახურე პირი ჰყავდა, რაც საქართველოსთვის უპრეცენდენტოდ დიდი რაოდენობა იყო [საქართველოს თავდაცვის სამინისტროს არქივი]. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ პროგრამებით მოსარგებლე ქართველი ჯარისკაცების

[1] საქართველოს თავდაცვის სამინისტროს არქივი

[2] წყარო: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. ბმული: https://mod.gov.ge/ge/mission

თითქმის 85% ავღანეთში იღებდა მონაწილეობას სამშვიდობო მისიის ფარგლებში, დიდი საბრძოლო გამოცდილების მატარებელი საჯარისო სექტორი გვყავდა რეგიონში და არა მარტო რეგიონში.

2009-2012 წლებში სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ქარტიის ფარგლებში უკვე გაიმართა 3 პლენარული სხდომა და 23 შეხვედრა, მათ შორის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროშიც. [საქართველოს თავდაცვის სამინისტროს არქივი].

2012 წელს, ქალაქ ბათუმში გამართულ სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ქარტიის პლენარულ სხდომაზე, რომელსაც აშშ-ის სახელმწიფო მდივარი ჰილარი კლინტონი ესწრებოდა, კიდევ ერთხელ დაადასტურა აშშ-ის მხარდაჭერა, ღიად დაუჭირა მხარი რუსების მიერ ოკუპირებულ საქართველოს ტერიტორიებზე კონფლიქტების მოგვარების მშვიდობიან ინიციატივებს და საქართველოსთვის კონკრეტული თავდაცვითი სისტემების შეძენის აუცილებლობაზე ისაუბრა [საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი].

შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად საქართველოს შიდაპოლიტიკური გამოწვევებისა, საქართველო მსოფლიოს დემოკრატიული ნაწილის მიერ აღიარებული ლიდერია რეგიონში, რაც ადასტურებს აშშ-საქართველოს ეფექტიან თანამშრომლობას. ქართული-ამერიკული ურთიერთობები კი კვლავ ვითარდება. სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის წყალობით, აშშ-საქართველომ ერთობლივი, ღირებულებებზე დაფუძნებული თანამშრომლობის სამომავლო გეგემბი დასახეს და დღემდე ერთგულად უძღვებიან თავიანთ მოვალეობებს. მიუხედავად ხელისუფლებების ცვლილებისა და არასტაბილური მსოფლიო წესრიგისა, ორივე ქვეყანა მშვიდ და განვითარებისთვის სტაბილურ პირობებს ქმნის, რაც დემოკრატიული საზოგადოების და სახელმწიფოს შენების გზაზე უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ქარტიის ფარგლებში გადადგული იქნა შემდეგი პოლიტიკური ნაბიჯები:

- 2010-2014 წლების თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტის დასრულება. ახალი ეროვნული სამხედრო სტრატეგიის გამოქვეყნება.
- სამხედრო პერსონალის მართვის სისტემის ძირითადი ინიციატივების განხორციელება.
- საქართველოს შეიარაღებული ძალების სტრუქტურული რეორგანიზაცია.

პროგრესი ასევე მიღწეულ იქნა პროფესიულ სამხედრო განათლებაში, კერძოდ:

- ეროვნული თავდაცვის აკადემიის განვითარება, რაც ასევე მოიცავს ოფიცერთა საბაკალავრო პროგრამას.
- საქართველოს სიმულაციური სასწავლო ცენტრის ჩამოყალიბება.
- საქართველოს სამეთაურო და საშტაბო სწავლების კურსის განვითარება.[1]

ამავე პერიოდში წარმოიშვა აშშ-სთან თანამშრომლობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება – აშშ-ის მხარდაჭერა ნატო-ს ეგიდით წარმოებულ ოპერაციებში, კერძოდ, 2009 წლის შემოდგომაზე ჩამოყალიბდა საქართველოს გადასროლის პროგრამა – უსაფრთხოების მხარდამჭერი საერთაშორისო ძალები (GDP-ISAF). 2014 წელს პროგრამა ჩანაცვლდა საქართველოს გადასროლის პროგრამა – მტკიცე მხარდაჭერის მისიით (GDP-RSM) [საქართველოს თავდაცვის სამინისტროს არქივი].

ამჟამად ქართული მხარე მონაწილეობს ნატო-ს მტკიცე მხარდაჭერის მისიაში (RSM) 870 სამხედრო მოსამსახურით. საქართველო არის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი და ერთი სული მოსახლით ნომერ პირველი კონტრიბუტორი „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიაში.

შეერთებული შტატების მხარდაჭერა საქართველოს ნატოში გაწევრიანების გზაზე 2009-2014 წლებში

გამომდინარე იქედან, რომ სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ქარტიის ფარგლებში სტატიის მთავარი საკითხი თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობაა,

[1] თავდაცვის სამინისტრო. წყარო: https://mod.gov.ge/ge/page/73/tavdacvis-strategiuli-mimoxilva

შეიძლება ღიად ვისაუბროთ საქართველოს მიერ ნატო-ს წინაშე აღებული ვალდებულებების წარმატებით განხორციელების გზაზე აშშ-ს დახმარებასთან დაკავშირებითაც, რომელიც ასევე ქარტიის საჭიროებებიდან შეიძლება გამომდინარეობდეს. მაგალითისთვის, 2008 წლის 19 აგვისტოს კი ნატო-ს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების საგანგებო შეხვედრაზე ალიანსმა ნატო-საქართველოს კომისიის (NGC) დაარსების შესახებ მიიღო გადაწყვეტილება, ხოლო ურთიერთგაგების მემორანდუმს 2008 წლის 15 სექტემბერს.

ასევეუნდააღინიშნოსისიც,რომნატო-სწევრიქვეყნებისსაგარეოსაქმეთამინისტრებისდონეზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ნატო-საქართველოს კომისიის ფარგლებში ყოველწლიური ეროვნული პროგრამის (ANP) საქართველოში განხორციელებასთან დაკავშირებით, რაც დიდ პოლიტიკურ გზავნილს წარმოადგენდა იმდროინდელი გეოპოლიტიკური რეალობის ფონზე.

2011 წლის 7 დეკემბერს ნატო-ს შტაბ-ბინაში (ქ. ბრიუსელი) ალიანსის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა გაიმართა, რომლის ფარგლებშიც საქართველო ფორმალურად მოიხსენიეს ასპირანტ სახელმწიფოდ, მონტენეგროსთან, ბოსნია და ჰერცეგოვინასთან და ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიასთან ერთად [1]

2013 წელს, აშშ და საქართველოს წარმომადგენლობამ გაფორმა შეთანხმება საქართველოს თავდაცვის ძალების ერთი ქვეითი ასეულის ნატო-ს საპასუხო ძალებში (NRF) ჩართულობასთან დაკავშირებით, რაც კიდევ უფრო გაეძლიერებდა ჩვენი ქვეყნის ნატოსთან თავსებადობას.

2014 წლის ნატო-ს უელსის სამიტზე ალიანსის წევრმა ქვეყნებმა საქართველო ერთ-ერთ ყველაზე თავსებად პარტნიორად (the most interoperable partner) აღიარეს და სხვა ოთხ ქვეყანასთან (ავსტრალია, იორდანია, ფინეთი, შვედეთი) ერთად „გაძლიერებული შესაძლებლობების პარტნიორის“ (Enhanced Opportunity Partners, EOP) სტატუსი მიენიჭა, რაც ნატო-სთან თანამშრომლობის გაფართოებული შესაძლებლობების მიღებას გულისხმობს. ალიანსის წევრი ქვეყნების გადაწყვეტილებით, 2014 წლის უელსის სამიტზე ნატო-ს თავდაცვის შესაძლებლობების აღმშენებლობის ინიციატივის (DCB) ფარგლებში საქართველომ ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი (Substantial NATO-Georgia Package, SNGP) მიიღო, რომლის მთავარი მიზანია საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერება, ნატო-სთან ურთიერთთავსებადობის ამაღლება და ნატო-ში გაწევრიანების პროცესის ხელშეწყობა [2].

დამატებით ასევე უნდა აღინიშნოს, ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი (SNGP), ისევე, როგორც აშშ-ის მიერ შემოთავაზებული უსაფრთხოებისა და თავდაცვის გაძლიერების სხვადასხვა პლატფორმა, რომლებიც საბოლოო ჯამში საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლებასა და ჩვენი კარის ნატოს სტანდარტებთან თავსებადობის ხელშეწყობას ისახავდა მიზნად.

დასკვნა

შეიძლება ითქვას, რომ დღესდღეობით ქართული-ამერიკული ურთიერთობები კვლავ ვითარდება და სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიას კვლავაც აქვს დიდი რესურსი ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობას კიდევ უფრო მასშტაბური და მრავალსექტორული შინაარსი შესძინოს. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის წყალობით, აშშ-საქართველომ ერთობლივი, ღირებულებებზე დაფუძნებული თანამშრომლობის სამომავლო გეგმები დასახეს და დღემდე ერთგულად უძღვებიან თავიანთ მოვალეობებს. მიუხედავად ხელისუფლებების ცვლილებისა და არასტაბილური მსოფლიო წესრიგისა, ორივე ქვეყანა მშვიდ და განვითარებისთვის სტაბილურ პირობებს ქმნის, რაც დემოკრატიული საზოგადოების და სახელმწიფოს შენების გზაზე უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

უნდა აღინიშნოს აშშ-ის, როგორც სტრატეგიული პარტნიორის მხრიდან დიდი ძალისხმევა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურყევი მხარდაჭერის კუთხით. შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად გარკვეული პოლიტიკური გამოწვევებისა,

[1] წყარო: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს არქივი

[2] წყარო: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს არქივი

რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენი სტატიის საკვლევ პერიოდში, რაც გამომდინარეობდა აშშ-ის ადმინისტრაციის ცვლილებით, საქართველოს და აშშ-ის ურთიერთობები თავისი განვითარების ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ ეტაპზე იმყოფებოდა და დღესაც, შეერთებული შტატები აქტიურად არის ჩართული საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების პროცესში.

დღესდღეობით, ქართულ-ამერიკული ურთიერთობები შეიძლება ითქვას, რომ დინამიკურად ვითარდება. მხარეების მჭიდრო პარტნიორული კავშირი ნამდვილად სტრატეგიულ ხასიათს ატარებს. საქართველოს სტრატეგიული მნიშვნელობა კარგად ესმით ვაშინგტონში, ჩვენი ქვეყანა ლიდერია რეგიონში დემოკრატიული მმართველობით. აშშ-ის მთავარი დასაყრდენი რეგიონში საქართველოა და, ამრიგად, აშშ-საქართველოს ორმხრივი ურთიერთობების შემდგომ ეტაპზე გადასასვლელად, ძირითადი ამოცანა თავდაცვითი შეიარაღებით და უსაფრთხოების გარანტიებით უზრუნველყოფა უნდა იყოს.

და ბოლოს, ვთვლით, რომ მიზანი – გაგვეკეთებინა ანალიზი აშშ-საქართველოს თანამშრომლობის შესახებ პარტნიორობის შესახებ ქარტიის ფარგლებში 2009-2014 წლებში მიღწეულია. სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ქარტიის ხელმოწერით შეიქმნა პლატფორმა, რომელიც, ერთი მხრივ, ეხმარება სხვადასხვა სახელმწიფოებრივ მიმართულებებს განვითარდნენ უამრავი პროგრამებისა თუ ხელსაყრელი პირობების მქონე პროექტების ხარჯზე და, მეორე მხრივ, იცავს უკვე შექმნილ დემოკრატიულ ინსტიტუტებს, რათა მდგრადი საფუძველი შეუქმნას პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოებისა და დემოკრატიული სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების ფუნქციონირებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გეგეშიძე, არჩილ. 2017. საქართველო და ამერიკა: თანამედროვე ორმხრივი ურთიერთობების ევოლუციის ძირითადი შტრიხები;
2. რადიო თავისუფლება, 2012. აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობა და დემოკრატია. იხ: http://www.radiotavisupleba.ge/a/hillary-clinton-in-batumi/24604236.html;
3. რეხვიაშვილი, ჯ. "აშშ-საქართველო – ღირებულებებზე დაფუძნებული ურთიერთობა.", რადიო თავისუფლება, 2012, Accessed April 11, 2018. იხ: http://www.radiotavisupleba.ge/a/usa-georgia/24585142.html;
4. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. საქართველო-აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის პლენარული სხდომა. 2016. იხ: https://mfa.gov.ge/News/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%A8-%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1.aspx;
5. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. ჰილარი კლინტონის გამოსვლა აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის გაფართოებულ სხდომაზე. იხ: https://mfa.gov.ge/News/%E1%83%B0%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%A8-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98.aspx;
6. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს არქივი. Cooperation with the United States, იხ: https://mod.gov.ge/ge/page/119/tanamshromloba-ashsh-stan
7. კუნჭულია ლ. აშშ-საქართველო – სტრატეგიული პარტნიორობის მე-3 წლისთავი, რადიო თავისუფლება, 9 იანვარი, 2012. იხ: https://www.radiotavisupleba.ge/a/24445973.html;
8. საქართველოს საელჩო ამერიკის შეერთებულ შტატებში: *თანამშრომლობის სფეროები* იხ:http://usa.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=130;

9. გამოცემა Institute for War and Peace Reporting. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომი: ქრონოლოგია, ევროპა და ევრაზია. 2013.
10. იხ:https://iwpr.net/ka/global-voices/2008-%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%92%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%97-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98;
11. Herbert P. Bix. The Russo-Georgia War and the Challenge to American Global Dominance, 2008. იხილეთ: https://apjjf.org/-Herbert-P.-Bix/2919/article.html;
12. Mitchell, Lincoln and Cooley, Alexander. After the August War: A New Strategy for U.S. Engagement with Georgia. Harriman Institute, Columbia University in the City of New York. 2010. იხილეთ:http://georgien.blogspot.com/2010/06/review-aft-er-august-war-new-strategy.html;
13. გამოცემა Civil. Ge. Obama to Host Saakashvili at White House., 18 იანვარი, 2012. იხ: https://civil.ge/archives/121690;
14. United States Department of Defense, Hagel, Georgian Defense Minister Meet at Pentagon, American Forces Press Service, Aug. 22, 2013. იხ: http://archive.defense.gov/news/newsarticle.aspx?id=120659;
15. გამოცემა: The White House Office of the Press Secretary. U.S.-Russia Relations: "Reset" Fact Sheet. 2010. იხ: https://obamawhitehouse.archives.gov/the-press-office/us-russia-relations-reset-fact-sheet;
16. BBC News, „Clinton promises 'steadfast' US support for Georgia", July 05, 2010, Accessed July 04, 2018 იხ: https://www.bbc.com/news/10504732;
17. United States Department of Defense, Hagel, Georgian Defense Minister Meet at Pentagon, American Forces Press Service, Aug. 22, 2013. იხ: http://archive.defense.gov/news/newsarticle.aspx?id=120659